


ტარტარში





ფინანსთა მინისტრი მოგვიანებით დაბრუნდა სახლში, ვინაიდან მთავრობის სხდომა, რომელზედაც მან მოხსენება გააკეთა სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ,—დიდხანს გაგრძელდა. მინისტრი კმაყოფილი იყო და სიხარულს განიცდიდა იმის გამო, რომ მისი წინადადება მიღებული იქნა მთავრობის მიერ სახელმწიფო დეფიციტის დასაფარავ წყაროების შესახებ.

მთავრობის დადგენილების თანახმად ერთერთ საშუალებათ დეფიციტის დასაფარავად მიღებულ იქნა უცოლოებზე გადასახადის შემოღება.

როგორც ზევით იყო თქმული, მინისტრის წინადადება მიღებულ იქნა უმრავლესობით ერთის წინააღმდეგის ერთიც გახლდათ უცოლო მინისტრი, რომელსაც ცოლის თხოვა აზრათაც არ ჰქონია.

ამ შემთხვევის გამო მინისტრის ბინაზე ქეიფი დილაშდის არ შეწყვეტილა. სტუმრები ნასიამოვნები დაიშალენ. გათენებისას ის ლოგინში ჩაწვა და მაშინვე ჩაეძინა:

— ძირს მთავრობის დადგენილება. ძირს ცოლები. გაუმარჯოს უცოლოებს!—ყვიროდენ ქუჩებში.

— ცოლები კი არა, თავს ძლივს ვირჩინთ. გიჟები ხო? არა ვართ, რომ ცოლები ვითხოვოთ!—გაიძახოდენ უცოლოები, რომლებიც ერთმანეთს მოუწოდებდნენ მთავრობის დადგენილების წინააღმდეგ საბრძოლველად.

უცოლოების უკმაყოფილება თანდათანობით მატულობდა და საშიშარ სახეს იღებდა.

მინისტრი სახლის გარშემო ქუჩები სავსე იყო აჯანყებულ უცოლოებით, რომლებიც მოითხოვდნენ—ან მთავრობის დადგენილების გაოქმობას, ან—და ფინანსთა მინისტრის გადადგომას.

მინისტრი ამ ამბავმა საგონებელში ჩაეგდო. ეგვიპტე-ბულებმა შეეძლოთ მისთვის რაიმე უსიამოვნება მიეყენებიათ

— შეტყობებულია უცოლოების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ის იქნებოდა სახელმწიფოს გაკოტრება. ეს იქნებოდა ჩენი პორტფელის დაკარგვა. მთავრობის დადგენილება ძალაში უნდა დარჩეს—ეუბნებოდა ის პოლიციის უფროს ცერგიბელს, რომელიც მის წინ იდგა და მოვლოდა მინისტრის განკარგულებას.

— ბატონო ცერგიბელ, აჯანყებულთა წინააღმდეგ უნდა მიიღოთ სასტიკი ზომები. ამას თხოულობს ჩენი სახელმწიფოს ინტერესები!— ბრძანებდა მინისტრი.

— ბრძანება თქვენი შესრულებდა, ბატონო მინისტრო!—ეყო ცერგიბელის პასუხი.

მინისტრს ხაშვადღევს გამოეღვივა. თვალსა და ყელსა და ის იყო უნდა ეკითხა აჯანყებულთა შესახებ, რომ მსახურმა გაზეთები შემოუტანა, რომლებშიაც გამოქვეყნებული იყო მთავრობის სხდომის ანგარიში ბიუჯეტის შესახებ და დადგენილება, რომლის თანახმად გერმანიის სახელმწიფოს დეფიციტი 760 მილიონი მარკა უნდა დაფარულიყო სხვადასხვა წყაროებით და მათ შორის უცოლოებზე გადასახადის შემოღების საშუალებით. გაზეთების კითხვის დროს მინისტრს სახიზო სიამოვნება აღებდა.

მიღებული ცნობები ადასტორებენ, რომ მთავრობას დადგენილების ცხოვრებაში გასაპრობლად მიღებული აქვს შესაფერც ზომები.

უფშარა.

სასაცილო ცრემლები

წერილი საიჰიმოს მემოზრისადმი ზოზიერთი მწერლების მიზამმა

რა გიჟივს, ძმაო, შენ გწყალობს ბედი, ეხლა ნეტარობ მანდ სამოთხეში.
(სიკვდილის შემდეგ ალბად მიხვედი შენ ამ ქვეყნიდან მანდ სამოთხე დღეში).

ეჰ, ძმაო, ძმაო ჩენი ქვეყანა რომ ნახო ეხლა,—ვერ იცნობ შენა. პეტრეს თავისთვის აღარ აქვს ყანა. მინდორში ისმის ტრაქტორის ქმენა.

სოფლად ღრიალებს ჰიდრო-სადგური, დაგუბულია ტბა და მდინარე. ძაღლების ყეფას უვიწყებს ყური... ეჰ! სადღა არის ხვეი მდინარე?

სადღაა კვარი? ან და ურემი? იმათ მაგიერ—ავტო... ელექტრო. ძირს ჩანოვყარეთ, ძმაო, ყურები, ბედი ესწყევლით—რატომ მოგვესწრო ეს დღო.

ეჰ ყურს არ ესმის ზარების რეკა... სკოლად აქციეს ყველა საყდრები. ამიტომ სწყველის მათ ჩენი ეკა და ამბობს მათზე: „გიჟი... წამბრები“.

სადღაა, ძმაო, ხანჯალ-ლეკური; თავსაბურავი, ლეჩაქ-ბოხონი? ეჰ! ცხოვრება გვაქვს, ძმაო, ლეკური და აღარა გვაქვს განძრევის ხოხი.

წმუკი.



თქვენ გზონიათ ეს კაცი ცეკვავს?! (იხ. მე-3 გვერდი).

ვინ არის და ვინ არ არის კაცი

ვისაც არ სწამს, არ უნდა ინდუსტრიალიზაცია, —
 აბა გვითხრას—ჩვენს დროში ის რა ფურის კაცია?
 ვის არ ესმის—რას ნიშნავს პლემბროფიკაცია, —
 ის ჩვენს დროში არ ვარგა იგი რაღა კაცია?
 რომელსაც ზღაპრად უჩანს კოლმეტიზიზაცია, —
 ის კულაკის მცველია და ის რაღა კაცია?
 ვის არა სწამს ჩვენს სოფლის ტრაქტორიზაცია, —
 (იმის თავში რა შევა?)—
 იგი რაღა კაცია?
 ვის მერყევად გარდაქმნის მტრების პროპოკაცია, —
 იგი კაცად არ ვარგა, იგი რაღა კაცია?
 ვისაც სესხზე დასჭირდა ჩიჩინი-ნატაცია, —
 შეიძინა, გაჰყიდა, —
 იგი რაღა კაცია?
 ვინც იჟიდა სესხების ბეჭერი, მბლიგაცია და ინახავს, არ ჰყიდის, —
 ის ნამდვილი კაცია!

ისალი.

მუშაკოლოში



— საკვირველია, სპეკულიანტებს ყველგან ავიწროებენ და სდევნიან... ესენი კი მხოლოდ მათთვის კერავენ ტანსაცმელს.

წმენლის კანდიდატი

არ მოსწონს ჩვენი დიქტატურა, ლერბი მუშური, თეთრ კბილს გვიჩვენებს, ისე გულში აქვს ჩვენი შური. დღეს კი მას ვხედავთ გამოჭიმულს აპარატშია, გამფლანგველია, ჩვენი ფული მიაქვს კარტშია. დაწინაურებულ! ვერ ეწყობა, ინტრიგას უწყობს; ის მუშათა და ჩვენს დარგში ვერას გააწყობს. სჩივი: დაგოღუპა, აგვირია საქმის დავთარი... ცეცხლებს ჰყრის შური, გვერნებათ მგელი, აფთარი. თვითონ კი, აბა, ჩამოეთვალოთ საქმე წარსული: პროტექციონიზმი, ბანოვანი, ზალა სპარსული, დაუსრულებლად ფოლის ფლანგვა, ცეკვა გიჟური, (არის ნამყოფი ევროპაში; იცის „ბონჟური“). სურს რომ იმალოს მუშის ქურქში, როგორც მელია, — მაგრამ წმენლის დროს ვერ უშვილის ენა გრძილია. მუშა ფეიქარი.



S.L.K

— გამწმენდმა კომისიამ მოგხსნა, ჩემი რა ბრალია!



ადამიანის ფსიხიკა ისეა შეჩვეულა რიცხვებს და ციფრებს, რომ ორი რიცხვიდან ერთის არჩევა მას არასოდეს არ გაუჭირდება.

ერთს ორი სჯობაა, ორს კიდევ — სამი და ასე დაუსრულებლივ, როცა საქმე ლამაზი ცოლის ყოლას ეხება. მაგრამ კუბო რა არის, უზრალო სიკვდილის საზარელი ნიშანი და მალეწყებელი, ამ შემთხვევაშიაც, თუ კუბო „მუქია“, ადამიანის ხარბი გული იმასაც კი ორს ირჩევს ერთის წინააღმდეგ, სამს — ორის წინააღმდეგ და ასე დაუსრულებლივ.

მაგრამ აი, გამოჩნდა ხალხი, რომელიც აღიარებს, რომ ხუთს ოთხი სჯობიაო.

მართალია, მოქიშპე და მოწინააღმდეგე ამ დებულებასაც ისევე ჰყავს, როგორც ორჯერ ორის ოთხობას, ანუ კიდევ, როგორც ყოველ ჩინელ გენერალს, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად რჩება და ოთხის რჩეობაც ხუთის წინააღმდეგ ისეთივე ფაქტია, როგორც ფაქტია ის, რომ ჩინელი რევოლუციონერები საბჭოთა წყობილებას არჩევენ როგორც ყოველი ჩინელი გენერლის დიქტატურას, ისე ყოველი მოძალადე კაპიტალისტური სახელმწიფოს აბეკუნობას და ჩიქმების ბაკუნსაც თავის საწინააღმდეგო ქვეყნის ტერიტორიაზე.

მე მოგახსენებთ საბჭოთა ქვეყნების ინდუსტრიალიზაციასათვის დანიშნულ დროს, ანუ ვადის შესახებ.

როგორც უწყით, ინდუსტრიალიზაციის პირველი დიდი გეგმის შესასრულებელ ვადათ ხუთი წელიწადი იყო პირველად განკუთვნილი.

საბჭოთა პროლეტარიატმა წამოაშენა ხუთი წლის გეგმით განზრახულ სამუშაოთა მთელი ისა პროცენტით ოთხი წლის განმავლობაში შესრულება, ესე იგი ხუთს არჩია ოთხი.

დააკვირდებით ამ გარემოებას და ასე გგონიათ, რომ, სიხარბისა და გადაჭარბების ნაცვლად, აქ საქმე გაქვთ ერთგვარ დათმობასთან და უკან დახევასთან. ამავე დროს კი ეს არა თუ არავითარი დათმობა, ან უკან დახევა და ერთათ ნაკლებით დაჯერება არ არის, არამედ გაუგონარი ნდობა და სურვილი უფრო მეტის, უფრო დიდი მიღწევების და სიჩქარის გაღვივება წინსვლაში, რასაც მხოლოდ პროლეტარიატი აიტანს და შესძლებს

ცნობილია, რომ პროლეტარიატის მიერ ამა თუ იმ საკათხის დასაწინააღმდეგე მის გადაჭრას. კლასი, რომელიც სიტყვის საქმედ ქცევას გარანტიას წარმოადგენს, არის მხოლოდ პროლეტარიატი. ჯერ არ მომხდარა ისტორიაში პრეცედენცი, როცა პროლეტარიატს ეთქვას და ვერ შეესრულებინოს.

აიღეთ ათას ცხრას ხუთში პროლეტარიატის მიერ ჯერ მარტო ტფილისსა და საქართველოში ყველასაგან ცნობილი სიმღერა:

„იქნება, რა იქნება? ძირს ნიკოლოზ, მაღლა მუშა შექველად იქნება!“

იქნა თუ არა?

ან კიდევ:


„ძირს ომი! მიწები — გლეხებს, ფაბრიკა - ქარხნები — ქალაქის პროლეტარიატს!“

იქნება არც ეს ქნია?!

მაშ, ასევე არ შეიძლება „ხუთწლის“ ოთხ წელიწადში შესრულება?... დეე, ეს ასე სწამდეს, ვინაა უნდა, ხოლო მე კიდევ, პროლეტარიატთან ერთად, ამ სოციალისტური გარდაქმნის გრანდიოზულ საქმეში, პირველი ხუთი წლით გათვალისწინებული დიდი გეგმის შესრულების საქმეში, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეში, მირჩევნია ხუთ წელიწადს ოთხა წელიწადი, ხოლო ინდუსტრიალიზაციის სესხისათვის კი მირჩევნია გავლო მთელი თვის ჯამაგირი, ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც მხოლოდ ნახევარი თვის ჯამაგირს ძლივს იმეტებს ამ დიდი მიზნისათვის.

ჰაზირა.

თ ა ნ ა მ გ ზ ა ვ რ ი



- შენ თუ იცი, რატომ არის ის კაცი მოწყენილი?
- არ ვიცი.
- იმიტომ არის, რომ საფულე დაეკარგა.
- რა იცი დაეკარგა?
- აგერ მაქვს ჯიბეში!

გ ე მ ი ღ ა ნ ა მ ი

(იგავისებური)



ეროვნული
ბიბლიოთეკა

გემს რას დააკლებს ტალღათა სრბოლა!
გადაუხდია მას ბევრი ბრძოლა.
ეხლაც მიარღვევს ტალღებს და ზვირთებს,
სამშვიდობოზე გაიტანს ტვირთებს.

ზღვაზე დაჰქროლა უცებ ნივმა
და ხმაურობა ასტეხა ნავმა.

მისი მენავე, რომ ახდენს ზაურს,
შველას შპირდება გემის მეზღვაურს:

—მოგვეულებით მარჯვნივ და მარცხნივ,
თორემ მოგელის სასტიკი მარცხი!

გემის მეზღვაურს ეცინებოდა
და ტალღების მთებს ეცილებოდა.

წინ მიდიოდა გემი მუდგარი...
ნავების ფოტრებს აზნევდა ქარი.

რინ-ტინ-ტინ.



გ. რ. ბ.



მუშა: სად მივაქვს ეგ ნაგავი ტარტაროზო?
— „ზაკულიტში“. სასაპნე ქონათ გამოდგება, რადა!

გლახობის „განმანათლებელი“ (ახალმაღამი)

აღბად არ გავიგონებიათ
ჯერ სოფელი პანთა,
სიმონმა ინანიშვილმა
აქ დაბერტყა კალთა,
„განმანათლებელი“ დროშა
უხალხოთ აღმართა.
აღმასკომში მიიტანა
გოდორი და ჩანთა,
წიგნები და რვეულები
უხვად გამოართვა,
წერა-კითხვას ვასწავლიო
მისას, თედოს, მართას,
მაგრამ დახეთ: ლიკსკოლაში
არავის ასწავლა
და სამი თვის ჯამაგირი
ხელში იგდო დეღაით.
წიგნები და რვეულები
ვიღაცებს მიჰყიდა,
ფული თითონ მოიხმარა,

კუჭი დაიმშვიდა.
მაგრამ დახეთ: აქ უეცრივ
დღე დადგა შავი.
გაიგო, რომ რევიზია
იქნებო მწვევი.
წერა-კითხვის მკოდნე ნაცნობთ
მოუყარა თავი,
სხაპა-სხუპით ათქმეინა
რაღაც საკითხავი.
და ამით შეინარჩუნა
გასაძრობი ტყავი.
გლახობა კი ისევ ისე
დარჩა უსწავლელი,
ამისათვის, ტარტაროზო
შენს ჩამოსვლას ელის,
რომ დანიშნო რევიზია
სულ მოულოდნელი
და უკლებლივ მიანაპო
მას ღირსი სასჯელი. უჩინარი.

კაცს რომ ჭკუა არ ექნება, მისი საქ-
მე დაღუპულია.

შარშან ზაფხულში, გვეხედე, მე-
უბნება ჩემი ცოლი კესარიე: — არი-
ქა, შე კაცო, დატრიალდი პეტრე,
მთავრობას სესხი გამოუშვია და
დროით შეიყიდე, იქნება ლატარიამ
გავვიჭრას და ქე გავკეთდეთ ფეხადო.

— რას ამბობ, ქალი? — შეუბ-
ლავლე რჯულზე, — შენ გამოიმქა-
ჩავ ბებია ქალს რა უთხრა შენი გა-
მოქაჩვიზა! ახლა სალატარიოთ გამი-
ხადე საქმე?

თურმე რას უყვირი, დოუჯერე
რაჯბა გირჩიოს.

ავდექი და დიანოსთან ვადავედი;
ნაღდღოლარი კაცია და ჭკუას მასწავ-
ლის-თქვა. (ისტე ისწავლა მისმა
გვარამ და ჯილაგმა რაღაც მე იმან
მასწავლა)

— მამო, ახალი სესხი არას გამო-
ცემულია ვქნა, მოაწერო ხელი თუ
არა? — შევეკითხე მას.

— მამა და შვილო, არ დეიღუბო
თავი, ხელი არ მოაწერო, თუარა,
რომელ ხელითაც მოაწერ, ის ხელი
ძირში მოგახმება, თუ გასესხება გინ-
და, აგერ მომასესხე ნიკოლასო!

გავბრკვევი და დაუჯერე ნახუ-
ცარს.


ისე დოუბრუნდა ყორფელი სატვი-
ვარი ჩიხის ღვიდოს. რაიაც მე ნიკო-
ლამ ის ფული დამბრუნა.

დაუწყო ჩხრიჩინი კოლიქტივს და
იმფერად ამოჰკრეს პანდური, რომ
უკან არ მოუხდებია. ჩემი ფული და-
აწერე ყინვანე და დეიდე თავზე. არც
ფულია და არც ნიკოლა.

ჩვენ სოფელში მთავარი მოგება
ნიკიფორას შიხიათა, მომთა ახლა კე-
სარიე და ტრუბაში მაძღრენს: რა გა-
დაურჩება მის წყევლას. პირდაპირ
გავთავდი კაცი. მიჩიია: ჩიხი, რომ ობ-
ლიგაცია ვეყიდა, მოგება კანკრაზ
ჩიხი გვერგებოდანო, რას ეტყვი, სად
მაქვს ლაპარაკის თავი. მე ყორუმსაო-
მა სხვის სიტყვას აგყიფი და კისა-
რის სიტყვა რავე არ დევიჯერე
აგერ 9 ბალანის პატრონი ქალია
ყორფელი ჩიხი მღვიდოს ბრალი
ქია, მარა ანასურ მის საქმეს, არც
იგია კაი დღეში ნუ გეშინია.

არ ვყოფილვარ კაცი თუ ახლა სე-
სხის სამი ობლიგაცია არ ვეყიდო.
ჩემს იღბალზე გამოვიდა სწორედ ეს
ახალი სესხი: „ხუთწლელი ოთხ წელ-
ში“, ახლა ხო გავახარე კესარიას გო-
ლი და იგია.

ბახჩო.



ატესტატი, როცა იგდო ხელში, სურდა შესულიყო უმაღლეს სასწავლებელში. სანამ მოვიდოდა მეორე წელი, ლოდინში წყდებოდა წელი. უგამოცდოთ იღებდენ იმათ, ვისაც აქვთ: სტაჟი მუშის, კოლექტივიზაციას ხელს არ უშლის, თუ არის ტექნიკი სამი წლის (რამეს აკეთებს და არა ზის), მშობლები თუ არ ჰყავდა კულაკი (თითონ თუ არ არის დურაკი), თუ არ არის შავსიელი, ბებია თუ არ ჰყავდა მარჩიელი, თუ არის ჯანმრთელი (მთავარია - ტენი თუ აქვს ზთელი - და ასეთები ბევრი საბუთები სამ-სამი ცალი, (უნდა აღინიშნოს სქესი; კაცი თუ ქალი). სასამართლოში ყოფილხარ თუ არა (აღნიშნე: ქურდი თუ ავარა), აღწერე - რას აკეთებდა პაპა, საღაროს ფულები ხომ არ ყლია? ბებიაშენი ბაბუაშენს რატომ უყვარდა? - ოჯახში ყავდათ თუ არა კატა? (და თუ ჰყავდათ, რას ვაგდა? ჰქონდა თუ არა თავების ჰირის მადა?). შენ ცოლისთვის ხომ გიყიდა პამადა? სიცოცხლეს, როდის გაუღის ვადა? (ყველაფერი დასწერე პრავდა).

რას შობოთი ომის იროს? ეწეოდი თუ არა პაპროსს, მენშევიკების დროს სიყვარულს ხომ არ უხსნიდი გოგოს? ვისა და როგორს?

2.

დაახლოებით ასეთი ანკეტა უნდა შეეგნო ქოჩორა ქოჩორაშვილს, წავიდა ონივერსიტეტში. იქ უთხრეს - განათლების კომისარიატში მიიღებთო. განათლების კომისარიატში უთხრეს - აღმასკომის გან. განყოფილებაშიო. აღმასკომში უთხრეს - გვერდიდან შედი გან. განყოფილებაშიო. გან. გან-ში კი უთხრეს - ლერმონტოვის ქუჩაზედ მიბრძანდით სომხურ სასწავლებლში. შენობაშიო.

აღბად აქაც რამეს ეტყოდენ, რომ ვინმე დახვედროდა. პირველ მისვლაზე მისდა საბედნიეროდ არავინ შეხედრია. მეორე დღეს რომ მივიდა, ხალხს უკვე თავი მოეყარა. ერთ ფანჯარასთან შეჯგუფდა ხალხი. შეიკუმშა. გაიბო ორად გამოვარდა ადამიანი ანკეტებით თავპირდაღებული, სახე შეშლილი, ტანზე ნაკუწ - ნაკუწად ეყარა სამოსის მსგავსად შეკონწილი ხალაით; ცალფეხზე ფეხსაცმელი გასძრობოდა; ცალზე კი - თითონ იძრობდა, რომ გაქცევისას ხელი არ შეშლოდა.

ანკეტისანი ქოჩორასკენ წამოვიდა. ქოჩორას ქოჩორი ყალბე აუღდა (შითათ კი არა - სიხარულით).

ალ. გვინჩი.



ალარც კარი, იატაკი, არც ფანჯარა, ჭერია.

გაზეთი დაფრინავენ, ვერვის დაუჭერია.

გვიანლა იყო

გადავიკვლი თავისი ცოლი ნიკოს - გავყადოთ მესამე სესხის ობლიგაციებშიო.

ნიკოს ბევრი აღარ უფიქრია, 100 მანეთის ობლიგაცია გაჰყიდა.

- აჰა, რა მექნა! სამჯერ იქნა გათამაშებული და ერთხელაც არაფერი მომიგია. ვიცი აწივ ვერ მოვიგებ! - ამბობდა ნიკო.

ერთ მშვენიერ დღეს (ნიკოსთვის უბედურს) გამოაცხადეს გაზეთში მოგებულ ობლიგაციების ნომრები. შემთხვევით გადაათვალიერა ნიკომ და ფერი დაეკარგა:

- ვაიმე, თავო დაღუპულო! - დაიღრიალა მან დაჭრილ დათვივით და მეორე ოთახში გავარდა ცოლთან.

- გამაყიდეთ ობლიგაციები, დამლუპე კაცი. ჩვენ ობლიგაციას 100 მანეთი მოუგია, ფუი შენს ქალობას, შენს ადამიანობას ამხანაგებშიც შეპარცხვინე და მოსაგებიც დამაკარგვინე.

ნიკომ ნახევარი თვის ხელფასის რაოდენობით მოაწერა ხელი „5 წლედ 4 წლედში“-ს სესხზე და სიტყვა მისვა თავის თავს - ობლიგაცია არასოდეს გაჰყიდოს.

ნიკო შკარულუბს თავის სიტყვას. კალმონანი.

გამოცანა

ამაღლებიანთვის (გურია)

მტრის წინაშე ქედს იხრიდა გააფთრებულ ბრძოლის დროში. მტკიცე ნების არ ყოფილა, თავს მალავდა ფულფროში.

მათ შეფიცა ერთგულება, წაუხდინეს ჭამის ხოში...

და როდესაც გავიმარჯვეთ, მოაბრუნა მაშინ ქოში.

ბრძოლის მუდამ ეშინოდა მერყეობდა ვით ღამურა...

დღესაც ფიქრობს შეარჩოს მგელი, ცხვარი, თხა და ტურა.

ამაღლების მცხოვრებლებმა იცის მისი სიგრძე, განი.

მორ სახელად ჩიონში ერქვა: „უხირო ინტრიგანი“...


ერთხანს ბათომს მიაშურა, შეაფარა მუშებს თავი, თითქოს შრომის გმირი იყოს,

ამბობს: „გამძერა ზურგზე ტყავი“.

მაგრამ ვიცი რაც ბიჭია, ბათომში რაც იფაქცა...

მუდამ სიმულიანობდა, ძლივსა აუთავდა „კასა“.

მისმა თხოვნამ და მუდარამ მოაწყინა ყველა როცა, - ის ბათომმა მოიშორა, ამაღლებს მოველოდა...
ოსმან-ალა.



ასე მიაქვთ გლახებს სახსე ტომგებით საფხვა-
ში ანთიმოზ რუსიძის წისპილზე

ანთიმოზ მუხისპილზე: — უმადურები, ტვირთი
შეგიმსუბუქეთ და თქვენ კიდევ საყვედურობთ?

რკინის გზის ამბები

„ომი დაიწყო“

ტფილისის საყუდმა დაიწუნა სტალინის სახელობის ქარხნის მიერ გამოწყობული ორბიტალური დაიწუნა და უკანვე დააბრუნა. სტალინელები არ იყვნენ შერვეული ასეთ „თავზღობას“. დირექტორის მოადგილეს კოტრინს მოახსენეს ეს ამბავი.

— ვინ გაბედა! — ყვიროდა კოტრინი.

— ალბად დემეტრაშვილმა...

— ეს არის ერთმანეთის ხელის შეწყობა? — ცხარობდა კოტრინი. — ჩვენ ხომ საბჭოთა წარმოებები ვართ, ერთმანეთს მხარი უნდა დაუჭიროთ, ხელი შევეწყობოთ. დღეს ჩვენ გაუშვით უფარვისი ორთქლმავალი, ხალხისინი გამოუშვებენ. დამაცადონ. მე უჩვენებ მათ სერის. ისინი ჩვენზეა დამოკიდებული, ყოველგვარ მასალას, ორთქლმავალის ნაწილებს ჩვენგან ღებულობენ.

ყველაზე უარესი მოლოდინი გამართლდა. დეპოს მიერ გაგზავნილი კაცი საჭირო ნაწილების წამოსაღებად, უკან უარით გამოისი ობრეს.

— თქვენ იწუნებთ ჩვენს ორთქლმავალს? — უყვიროდა კოტრინი, — ვერ ეღირობათ ჩვენგან მასალებს.

— ორთქლმავალი უფარვისი აყო!
— დააპირა ლეჟავამ სიტყვის შებრუნება, მაგრამ კოტრინმა არ აცალა:

— სულ ერთია, უნდა მივებოთ!

მდგომარეობა მინის შემზებას ორი თვის წინეთ ტფილისის რკინისგზელთა საუბნო კომიტეტის თავმჯდომარე ბ რაზმაძემ ამტკიცებდა ერთ კრებაზე:

— ადმინისტრაციის სძინავს. პროფორგანოს ახვევს ყველაფერს თავზე.

ცუდათ ყოფნა



— როგორ ხარ?
— ღმერთივით!
— მაშ ვერ ყოფილხარ კარგად.

საკმეჯობრების აღრიცხვა უნდა აწარმოოს ადმინისტრაციამ.

ორი თვის შემდეგ ტფილისის რაიონის უცროსი (იგივე ბ. რაზმაძე) ერთ სხდომაზე ამტკიცებდა:

— არ წიძლება ყველაფერს ადმინისტრაციისათვის თავზე მოხვევა. სოცმეჯობრების აღრიცხვა პროფორგანოზეა უფრო ეხერხება.

ორთქლმავალი № 219

ორთქლმავალი № 219 დიდის ზეინით იქნა გამოშვებული სტალინის სახელობის ქარხნიდან.

— ნახეთ ჩვენი მღწევა. — თვითღირებულების დაწევა და ხარისხის გაუმჯობესება!

მატილიაც ორთქლმავალი ლამაზად შეღებილი იყო.


— რაძენი დაჯდა ორთქლმავლის შეკეთება? იკითხა ვილაც ურწმუნომ.

— 26.000 მანეთი.

ამოდენა თანხა არ სჭირდება კაპიტალურ შეკეთებასაც. აქ კი საშუალო შეკეთებაც არ არის.

გაერდა 3 თვე. რკინის-გზელებს აკვირებდა ერთი გარემოება, რომ ორთქლმავალი № 219 იღვა ერთ ადგილას. ვინ იცის კიდევ რამდენხანს იქნებოდა გაჩერებული, რომ მუშათა ბროვადა არ ჩამოსულიყო.

ორთქლმავალი უცბად გაქრა. უგი ყველავ დააბრუნეს ქარხანაში შესაკეთებლად.



იორეშჩენკო — კილჩევკის
არის მარჯვენა ხელია;
პროვოკატორი ყოფილი
და გაიძვერა მელია.




კილჩევკის არის უფროსი
სახანძრო განყოფილების.
შავ აუღს ვერ დარაგს იმისას
იმისი „თეთრი“ კბილები.
დენიკინელი ბრძანდება
შავ რეაქციის მსახური;
მუშების სისხლი დალია,
დალია, როგორც კახური.
დღესაც ცხვირსა სწევს ახრანკის
ორდენებით და ჩინებით
და მუშებს მასთან მისულებს
იტუმრებს ლანძღვა - გინებით




დასტობით ყავს
სახანძრო რაზმს
ტარტაროზის საკბილონი;
ვინ მოსთვალოს საქმე მათნი
სასახელო, საგმირონი.
ჰა, იმათი თაიგოლი:
ნონიკინი - ბოქაული.

ვისაც მშრომელთ გასაგმირად
ხნალი ერტყა მოკაული.
მოხკვიჩენკო — თფიცერი
ნიკოლოზის მოყვარული;
სიზმარში, რომ ნიკოს ხედავს.
ცხადში ხდება მოხარული.
კლიუჩნიკოვს — პოლიციელს
მენდლით ჰქონდა სავესე მხარი;
ყველა იყო კილჩევკისთან
შენატკობი, შენაფარი.
ამისათვის სახანძრო რაზმს
არა წმუნდა, ხვეტვა უნდა;
ამათთანა საბმუშაკებს—
რკინის ცოცხი, ქვა და გუნდა!

БЕЗ ДОКЛАДА
НЕ ВХОДИТЬ!




ვინ ჩააბარა რეტელსკის
სამნო განყოფილება?
ბაუროკრატი უხეში,
მუდამ ჰყევს და იღრინება
ხეპრ ა მიუჯარები
შრისხანე აღა - ბეგია,
საქმის არ გამოითებული,
მცონარე, ნაცარქექია.



ვახილიევი ბრძანდება
უფროსი საფინგანისა;
ბევრი ცოდვები გამოჩნდა
„ამა უბიწო გვამისა“.
„ჩინოვნიკია“ უბადლო,
სწორს ვამბობთ, არა ქორია,
და მუშკორებზე ნადირობს,
როგორც ჩიტებზე ქორია.




ვაღანიდვათა ჯგუფშია
პოპოვი თანამშრომელი,
პასუხისგებას კითხვაზე
სამ თვეს უნდება რომელი,
უყვარს ლოგინში ზმორება,
აჭიანურებს საქმესა;
მივლინებაში ატარებს
თვეებს და წელიწადებსა.



საფიგანის რევიზორი
კანდელაკი — ჩვენი „ძია...
ადვილიდან — ფებს არა სძრავს,
გზარება რევიზია.

წვეის ბაქანს, რომელიც
სადღურ შორაპნის და ძირუ-
ლას შუა მდებარეობს, არ ექ-
ცევა საჭირო ყურადღება.
მგზავრებისათვის არ არის
აგებული თავშესაფარი და
ხშირად ფარანსაც კი არ ან-
თებენ, რომ მემანქანებ მაინც
შეაზნისოს გასაჩერებელი ად-
გილი.

აბი.



წვეის ბაქანი: (ა.-კ. რეგ. გზის მმარ-
თველობას): — უსინათლო ვარ... და-
ვრდომილი... დაობლებული... მომხე-
დე! შემეწიე გაკირვებულს!..



გემი შავი ზღვის ნაპირებს მოადგა.

მეორე დღეს ხატისოვი, ტფილისის ყოფილი ქალაქის თავი, ტფილისში მეგობრის მონებრებოლ ბინაზე იყო. მეოთხე დღეს საღამო ხანს ტრანსამოსი გამოიცივალა, პარიკი გაიკეთა და არხენად გამოძვრა თავის ბინიდან.

ჩვეულებისამებრ, ინსტიტუტურად თავისუფლების მოედინსავენ გასწია, გაჩერდა აღმასკომის წინ და სიამოვნებით გაიღიმა:

— მადლობა ღმერთს ქალაქის გამგებმა გადარჩინათ. აი იქ ჩემი კაბინეტი არის. სინათლე მოსჩანს. ალბად იქ მუშა ბოლქვამეზის და მუშაობს. მახლას დროებავს.—ჩაილაპარაკა მან და უკან მოიხივდა, ყოფილ თამამშვიდის ქარვასლას თვალი მოავლო.

— ესეც ისევე ისე სდგას. მხოლოდ შეუღლა მახებიათ. საბრალო თამაშებზე, ვინ იცის რა დღეში ხართ?—ნაოლიანად ჩაილაპარაკა, მწარედ ამოიკენესა, ცოტა ხანს იქვე იყო გარინი ბოლი და შემდეგ დაჰყვა სიონისკენ.

— ეს კი საუტხოვია, მშვენიერებაა.— ჩაილაპარაკა მან, როცა წინანდელ გიწრო იერ ფართე ქუჩებს და ტრაპიკის ხანს მოავლო თვალი.—მასსოვს ფუნქციონირზე ტრამვაის ხაზი უნდა მიგვეყვანა, გზაზე წამოჩნობული იყო გილაქის პატარა სახლი. რამდენიმე წელიწადი ევაჭრა გამგებობამ, მაგრამ ვერ შეთანხმდნ და დარჩა გზა გაუყვანელი. მოვიდნ კომუნისტები ამოკურეს კიტლავი და ხელად მიიყვანეს გზა.

სიონამდე ჩავიდა და გოცემული დარჩა, როდესაც ყველა დიდრონ სახლებში დაზგებს ხედავდა და გაქსარებული მუშაობა იყო. მთელი ეს კუთხე საპროფიგლო რაიონად გადაქცეულიყო.

ხატისოვი უკან გამობრუნდა და კუჩის ხიდისკენ წავიდა. გავიდა ხიდს და უცხად ჩაფიქრდა, გაჩერდა, თვალემა, გაუშტერდა. რაღაც ახსოვდა და ვერ მოგვინებია, დიდხანს იყო ჩაფიქრებული. ბოლოს შეუბღზე ხელი იტყცა და იქვე ჩამოჯდა ქვაზე.

— ვაიმე, ჩემო გორონცოვო, სადა მყავს შენი თავი. ვინ იცის ესლა სად და რომელ მხარეს ხარ, ან იქნება უკვე კედეც გადავადნეს. თავი ჩალუნა და ობოლი ცრემლები ჩამოჰყარა. კარგა ხანს იჯდა მდუმარე. მეორე წამოდგა, წელში გასწორდა და ჩაილაპარაკა:

— ერთი გულიანად ძველებურათ ვერის ბაღებში „ედემში“ და „ფანტაზიაში“ ვიქეფო და მეორე გზას დავადგები ისევე პარიზისაკენ.

აჭარის-წყალი

ვერ არც კი ახსოვთ გრიშას და ნესტორს რომ ჩაედინოს რამე ავია, მხოლოდ წელს (ალბად ისიც შემთხვევით)

შემთავაშა ფულმა თავია, მაგრამ რა მოხდა? ნაცვლად იჩისა გამახანლში ჯდომის ღირსია ორნი— გრიშამ სასჯელსა თავი იძვრინა და დააჯინა მართო ნესტორი. ესლა ნესტორი გულმოსულთა, (ვერც გადაიტანს ამ გულის მოხვლას). თუ ვერდში გრიშაც არ მიუჯდინეს, ისიც აპირებს გულ გამოსვლას. მართისა.

ლ ე კ ე შ ე ბ ი

„ბადასახალის შემგროვება“

სოფ. ახალ-ქაჩავაში (რაჭა). დილით სასამართლოში საქმის დაწყებამდე ორივე მოპირდაპირე მხარეებმა, რომლებიც ერთმანეთს ეწრისათვის ებრძვიან, ვექილს ჩაპარეს სოფლად შეგროვილი: რამდენიმე ფუთი სურსათ-სანოვავე, შინაური ფრინველები და 600 მანეთი.

ვექილი ამბობს:—სამოთხე აქ ყოფილა და რაღად „ვიწამო ღმერთი“ ამით გულისათვის, რომ ნაკლები გადაეხადებინო ჩემი გასამჯელო. მე რა მენაღვლება—ან ერთი მხარე წაავებს, ან მეორეო.

(ეპე)

ახია მათში

ნატანეში. ადგილობრივ კლუბის დაუმსახურებელ (არის ასეთი ტიტულიც) მსახიობებს შორის მოხდა ჩხუბი. ვინაიდან გარეშეებს ეს ამბავი რეპეტიცია ეგონათ, არავინ მიშველდება გასაზავებლად. გატყდა ცხრა თავი, რომლებშიაც თითო კილო თივის მეტი არაფერი აღმოჩნდა (შმაილა).

სისწრაფის ახალი რეკორდი

შალაქში. ფოსტის გამგე ილარიონმა და თანამშრომელმა ქალმა ნადიამ დაამყარეს დეპეშის სისწრაფის ახალი მსოფლიო რეკორდი: ტფილისიდან ორშაბათს გაგზავნილ დეპეშას მოაგარაკე წადეგრში ლებულობს სწორწი, ე. ი. მეორე ორშაბათს, როცა დეპეშის გამომგზავნა შაბათ-კვირაზე ჩამოსული ქმარი უკან ბრუნდება ტფილისში.

(ერლი-ან).

„მასაჟი“

ჭინაოშრა. ექიმი სანიკიძე სადგურის უკან ლებულობს მსურველებს და უკეთებს მასაჟს გვერდებისა და ცხვირ-პირისას. ვინაიდან მსურველი არავინ აღმოჩნდა, მოქალაქეებს ძალით უხიბრდება და სცემს.

(ნივიგო).

ბრძოლა უმუშევრობის წინააღმდეგ

სამტრედილი: „ეპოს“ თავმჯდომარემ უმუშევრობასთან ბრძოლის მიზნით ჯერ-ჯერობით თავისიანებიდან მესამე მალაზიაში მიიღო მხოლოდ მამა და შვილი.

(გვაჯა).

მოთხოვნაზე გუგულისულობაზე

ოკუპირებში. ვინაიდან მ. ხუროთა და მოსადილეთ შორის ხშირად იმართება ჩხუბი და ამის გამო იმტვრევა კუროკლეულობა, ეპოს წითელი სასადილო განიცდის კუროკლეულობის კრიზისს. გამგებობას განზრახვა აქვს სასადილოში შემოიღოს ხის ჯამები, რომლებიც გაუძლებენ ყოველგვარ უსიამოვნებას, როგორც არის გატეხა.

ალბად სიცხის ბრალია

ნატანეში. ეპოს სასადილოში ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით იყიდება ღვინო ნარევი წყალი (არ ყველად, წყალნარევი ღვინო). მიუხედავად ამისა შიგ ყველა მთვრალია, რაზედაც გამგე თავს ასე იმართლებს: — ალბად სიცხის ბრალია, თორემ წყალს როდის ჰქონდა ალკოგოლი.

(ლუქმა).



ჯ ა ბ ა

(ს.ო.ფ. ოზბა, ჭუთ. ოლქი)

ერთ დღეს ოზბას მასწავლებლად მოვი-
დინა ჯაბა შესხი, თმა ხაზო, ჩაგალიფ-
ჩაზნაიკებული.

ჰო-და იუკადრისა ჯაბამ ოთხწლედის მა-
სწავლებლობა და გადასწყვიტა შეიღწლე-
დის გამგეთ გამდარიყო.

— სირცხვილი არ არის, მე, ღმერთივით
ბიჭი, უბრალო მასწავლებლად ვიყო, ხოლო
შალვა მაჩიტაძე კი შეიღწლედის გამგეთი
მერე რაა, რომ უმაღლესი ცოდნა აქვს და
საქმესაც გულმოდინით ეკიდება?—გაიფი-
ჭრა მან და შეუღდა საჩხის გაჩაჩხისა.

თავდაპირველად თავი მოუყარა გამგე-
სადმი მტრულად განწყობილ „მასებს“—
მიოდე მასწავლებლებს: შალვას, სალომესა
და ნინას?

„შეთქმულების“ ერთ-ერთ კრებაზე ჯა-
ბამ წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა:

— ამანაგებო და მასწავლებლებო; თქვენს
წინაშე სდგას თქვენი თანამებრძოლი და
უტყინიერესი პედაგოგი, რომლის იშვიათ
„ნიჭებს“, უდიერად ახზობდა ოთხწლედის
განყოფილებები. „მეცხვის კვისარსა კვისარ-
სა“—ვაბობ ამას ჩემს თავზე. მომეცით
მე გამგეობა შეიღწლედისა და თქვენც სა-
მაგებროთ გაგაბენიერებთ ჩემი მზრუნვე-
ლობით. უწინარეს ყოვლისა, თქვენც მოგა-
შორებთ ოთხწლედებს და გადმოგიყვანთ
ჩემდამი რწმუნებულ“ სკოლაში.

— გაუმარჯოს ჩვენ ძმა ჯაბას, ვაჟკაცსა
და არა ჯაბანს.—ვისძახეს ერთხმად დამსწ-
რებმა და მეორე დღეს, რაღაც მანქანებით
ჯაბა მართლაც ჩასვეს გამგის საკარბელში,
ხოლო შალვა მაჩიტაძე „კუდამოდებული“
გაისტუმრეს ქუთაისს.

სწორედ იმ დამის, მართლაც და ოზბის
საუბედუროდ, დაიწყო ჯაბას ახალი რეჟი-
მაცია—ჩვენი სიამაყე შეიღწლედით. ხოლო
მეორე დღეს მოვიდა ისეი ძველი გამგე გა-
ნათ. განყოფილების განკარგულებით, რათა
ჯაბა დაუყოვნებლივ გადამდარიყო „ტა-
ხტიდან“.

„დამსახურებულმა“ გამგემ (ჯაბამ დღე-
ნახევრის „ბრძანებლობის“ შემდეგ დასთმო
ტახტა ისევე შაოვას სასარგებლოთ, ხოლო,
კატისა და ძიხვის არაქის არ იყოს, გულის
„მოსაფხანათ“ სთქვა:—არ დამწვარიყო
შეიღწლედით, მაშინ კი ღირდა მისი გამგეო-
ბა, ანაჲ კი მაინც და მაინც აღარც კი მა-
ინტერესებო! მოძველებული“.

ნატურის

ანაგის აფთიაქის გამგე ბულ-
დანი თითქმის ყოველდღე მთვრა-
ლია.



ბულდანი რომ მთვრალია, ამ
„რეცეპტის ბრალია.

ინტერნატი

სად მილიციელს ვერ წაყავ—ლანჯათ,
სადაც სიმყარე ბატონებს გზაზე,
სადაც ძლიერი ხულოვანთ ბანდა
სალამობით თავს ესხმის გზავერებს,
სად მძარცველების მძაფრი თარეში
აღამიანებს სიკვდილს უქადის,
იქ ინტერნატი გადააკეთეს
ჩოფურაშვილის ძველი დუქანი,
როს ორთაქალის ვარემოს ნაბადეს
ჩვეულებრივად ღამის ბინდ-ბუნდი,
გაუძლებს შოლოდ საშინელ ამბებს
აღამიანი ფოლადის გულთ...
„გააღე ჩოფურ, გააღე კარი,
ქალბებში უნდა ვათიოთ ღამე“..
ლოთებს ჰგონიათ ისევე ჩოფურა
ხშირად ინტერნატს უმტვრევენ კარებს.
ქოროლდი.


ზესტაფონი

ტარტაროზო, წერილსა გწერ;
ცოდვილ ხალხის გიყვარს ქონი.
ჩამოდი და შენი ჩანგლით
ინახულე ზესტაფონი.
აქ აზანოს ვერ იპოვი,
სიბინძურით გვხვდება სული;
აღმასკომს კი არ სცალია,
„საქმით“ არის დატვირთული.
კულტურულ რევოლუციის
გატარების აქვს ხოზია;
აზანო კი ამ საქმეში
მისთვის აღბად „როსკოშია“.
სანიტკომის მუშაობას
არ ედებს, ვხედავთ, წუნი;
ბაზარში თუ აიარე
გაგაგიყებთ „დუხის“ სუნი.
მართლა „დუხი“ არ გეგონოთ
კლოზეტია ცენტრში მდგარი,
ტარტაროზო, მოდი, ცოდვილთ
შენი ეშვი ამოკარი.
თრითინა.

ჭ ი ა თ უ რ ა

უგრძნობლად დათრობა, დებოშის მოხდენა.
არ არის ლამაზი, კანონი ჰგმობს.
თუ არ ხარ ექიმი, ან და სხვა აქტივი,
საკანსა გაჩვენებს, არ დაგათმობს.
ეხლახან ქეიფი გამართა საშიკომ.
ესტუმრა ექიმთა სწავლული წრე.
დათერენ და დალეწეს ჭიჭა და საინი,
მშველელი ვეძებ და ვინატრე.
დამკვრელებს შორის, რომ სახელი გაითქვა,
ეს არის ვაშაძე, სად არის დღეს?
მეურმეთ კავშირში მოიღვა მან ფეხი
და ფიქრობს: — სად დათერეს, სად გამოძღეს.
გულში წინ სადგურში გაარტყა კაშისა,
აქ მუშებს აგინებს დედას და ცოლს,
სულყველას აშინებს მაუზრის ტრიალით,
ამიტომ ვერ ამბობს ვერაფერს სწორს.
რკინის გზის „ჩეკისტმა“ ეს ფაქტი იყურა
და უთხრა კაშისა:—მოშორდი ძმავე;
ხომ აცი ვინც არის, სჯობია გაჩერდე.
თავს შენი გულისთვის ვერ მოვიკლავ!

კომკავშირის თავისი ხაზით ჰყავს დამკვრელი,
ჩხეტიან გრიგოლზე ცოტა რამ ვსთქვათ,
ჩვენ ერთი გმირობის სურათი ავიღოთ,
იცოდეთ ასეთი ბევრია სხვავე.
24 ივნისსა უგრძნობლად დამთვრალი
შევიარდა დუქანში და კლავდა კაცს.
ლუარსაბს რომ არა, ნაგანით მოჰკლავდა,
ჩეფერიდ გიორგის და კიდევ სხვას.
გიორგი შიშისგან ლოგინათ ჩავარდა,
გრიშა კვლავ იძახის: „დავლიოთ, სვით,
ასეთი უღირსი წევრების შესახებ,
კომკავშირელებო, თქვენ რამე სთქვით.
— : —
ტარტაროზს არ უყვარს ხათრი და სიჩუმე,
ის გეტყვის ამაზე ძალიან ბევრს;
თუ როგორ მოვექცეთ ლოთებს და ავარებს—
კერძოთ მიშველიძეს პარტიის წევრს.
დაზღვეულა.



— ოაი! რის ფული! რა ფული!
შინ არ იცი, რომ ჩვენ ფულსა
ესაობთ?.. აი შენი ფული! — და
„პრესტაულოჯ“ გ უტყლაშუნა გამო-
ჩიბიბელმა შურლიამ წითელ სასადი-
ლოს გამგე ლიონას. შემდეგ მიუვა-
რდა იქ მჯდომ მოსადილეებს, ასწა
მავიდა და დასვა ძირს.

— როგორ გაბედეთ ასეთი შეუ-
რაცყოფა. აქ თქვენ გიჩვენებთ სიერს.
ცხენში ამოვალაობთ. მხეს არ დაგა-
ნახებთ!

დიდი ბრძოლის შემდეგ იგი გამო-
იყვანეს სასადილოდან.

მეორე დღეს გამოფხიზლდა შურ-
ლია. მოაგონდა გუშინდელი ამბავი.
საჩქაროდ დგება ლოჯინიდან და ვარ-
ბის სასადილოში ლიონასთან.

— შენ გენაცვალე, არსად არაფე-
რი წამოგვდეს. არ მიჩივლო, არ დამ-
ლუპო კაცი. სამაგიეროდ პატივისცე-
მა ჩემზე იყოს! — შევედრა ლიონ-
ნას „პატივცემული გამოძიებელი“.

საქმე მართლაც მიყუჩდა.
ნივრალი შურლია დასეირნობს
ქუჩაში

სწყურია ღვინო.
გაოგნებს, რომ ლაგოდებში ვასო მი-
ქძისას დაპატივებული არიან ლა-
გოდების აფთიაქისა და სოფ. ბაის-
უბანის აფთიაქის გამგეები.

მყისვე იქვე გაჩნდება. სახლის პა-
ტლონა მიქაძე ძალაუფლებურად მიიპა-
ტიყებს.

უცბად, ყოველ მიზეზს გარეშე წა-
მოვარდება შურლია მაგიდიდან, და-
სცემს ჭიქას იატაკზე და ლანძლავს
მასპინძელს. ამშვილებდენ მას, მაგ-
რამ, ჰოი უბედურებავ! ვინ გაბედა
ლომ-გულის დაწყნარება... უეცრივ
წამოვარდება, სტაცებს ხელს კინა-
ში ვასო მიქაძეს, დასცემს ძირს და
შესდგება წიხლით.

შურლია მიჰყავთ სახლში. ქუჩა-
ში გამვლელნი უყურებენ. გამოძიებ-
ელი მათ აგინებს უწმაწური სიტყ-
ვებით.

- ვინ არის?
- სადაური? — კითხულობენ გლე-
ხები.
- „სუღია“ — გაიძახის ერთი.
- სუღია“ კი არა „პროკლოვია“
- იძახის მეორე.

- „სუღის“ კაცი კაა და არ ვიცი.
- „პროკლოვი“ კი არა „ატვკან-
ტია“ — გაიძახის მესამე.

ძეორე დღეს იმავე ხერხით შურ-
ლია მიუდგა ვასო მიქაძეს და სთხო-
ვა, არ გაემჟღავნებინა გუშინდელი
ამბავი.

გამომძიებელ შურლიას ჰყავს მო-
თავსებული გამსახლში პატივრები
მცხ. სოფ. კაბლისა, კული-ხამათ-
ოლლი 24 აპრილიდან, კალაფი კო-
ლა — 27 მარტიდან, ძმები ხუბაშვი-
ლები ვასო და საშა — 8 მაისიდან.

ბარნაბიშვილი სტეფანე — 30 მარ-
ტიდან და ვასო ომსარაშვილი — 8 მა-
ისიდან. ესენი ჯერეც დაუყოთხენი
კლოდებიან თავიანთ ბედ-იღბალს.

შურლიას მიერ დაპატიმრებულ
გლეხ ყაჯრიშვილის ნათესავებმა სა-
მი დღე-ღამე იარეს პატიმრის სახა-
ვად ნებართვის ასაღებათ და იმდენ-
ნივე უცადეს წითელ სასადილოს კა-
რებებზე, მაგრამ სასადილოში მოქე-
რფე შურლიას ვინ გაუბედავდა ასეთ
დროს დალაპარაკებას.

გამომძიებელი შურლია იბარიბს
გლეხებს. გლეხები მოდიან, საო-
მომდე ელოდიბიან შურლიას. გამო-
მძიებელაც შეზარია. ბევრ ბოუნ-
დება სახლში მოსასვენებლად.

ძღვენს ვინც მოუტანს, მათი საქმე
სულ მოკლე ხანში მოგვარდება. უყ-
ვარს სიამო აება ნათლი-მამობა, მო-
ფერება, თუ ვინმე უხეშმა კანონის
ფარგლებში რაიმე მოსთხოვა. გაჰქე-
ლავს, წალეკავს და მუშტებს მოამზა-
ლებს. თქვენ მასწავლით კანონებს?

შურლიას ბრალდებულთა თელავის
რაიონიდან ქალის გატაცება და სხვა
პრავალი ბოროტობა ჩქედებრი. დღეს
გამოდის იმავე ხალხში საბჭოთა კა-
ნონმითობობის გამტარებლად.
კორი.

ქუთაისის ამბები

პურის ფქვილი.

ბოროტი ენები ამბობენ, ვითომ არტემ ტაბიძე, რო-
გორც მლიქვნელი, ლაქუცა, მელა კულა, პროტექციით
დააწინაურეს „ეპო“-ს გამგეობის თავმჯდომარეთ მუ-
ხიანშიო.

ჩვენ კი კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ ეს ასე
არაა.

არტემ ტაბიძეს ებარა ქუთაისის მუშკოობის შავი და
თეთრი პურის ფქვილების ცენტრალური საწყობი. მან
აღრე გაითვალისწინა, რომ თეთრი პურის „ფეშკოობას“
შეუძლია გაუკითოს კარიერა. ამიტომ თითო ცალი (ტო-
მარი) თეთრი ფქვილი მიუტანა ოჯახში 3. ქუთათელაძეს,
ა. ქუთათელაძეს, ბ. ედგევრაძეს, კაკაბაძეს, ლობჯინიძეს
და სხვებს.

ამრიგად არტემ ტაბიძეს კარიერა პურის ფქვილმა
შექმნა და არა პროტექციამ.

საკაბიო მიზეზი

უკუშეგობობასთან მებრძოლ კოლექტივის სასადი-
ლოში გამეფებულია უსუფთაობა. ქუთაისის მოქალაქენი
ფიქრობდენ, რომ უსუფთაობა გამოწვეულია სა-
სადილოს შტატისა და უმთავრესად კი გამგის დაუდევრობით,
მაგრამ სასადილოს გამგემ შემდეგი ახსნა-განმარტებანი
მოგვცა:

— ბორში მატლა კომბოსტოდან ჩავარდება; კერძ-
ში საქონლის გაუწმენდელი შიგნეულის აღმოჩენა გამო-
წვეულია სასადილოს სხვა ბინაზე გადატანით, ხარჩოში
ბუზები ცვივა სამზარეულოდან თქვენს მაგიდაზე მოტა-
ნის დროსო.

ღვინით გაღეშილ ადამიანზე მიუთითე, გიპასუ ხერს:
— ალბად ღვინომ დააბრო!

ასეთია კოლექტივის სასადილო დღეს, ასეთი იყო
იგი წინეთაც, მხოლოდ ასეთი არ უნდა იყოს ის მომა-
ვალში მაინც.

ხლისტი.

(კულაში)

ასწია, შენ ხარ ჩემი ბატონი, ამ ჩვენმა კოტეხს და ზე კაპალ კულაში აგროტეხნიკურში სტკუცა თავი გამგეთი ის 35 ჰექტარი მიამული, სახელათ მართალია ტენიკულშიაა, მაგრამ სახრავათ კოტეხ მოიძახა...

ასწიეს, შენ ხარ ჩემი ბატონი, გლენებმა და განდენ უკმაყოფილო, მაგრამ გლენებს ვინ კითხავს, მთავარი ყოფილი თავადი მიქელაძეებმა და კოტეხ მათთან ქვა გვარიან განწყობილებათაში. ყოველ შემთხვევაში, არც ერთი ქეიფის დროს მათთან ჩხუბი არ მოცლია.

ასწია, ბატონო, ამ ჩვენმა კოტეხს და შექნ ინტრიგა მასწავლებლებში, აუხრდა ტენბერისონალს, არ დააზოვია ხელზე მოსამსახურე და არც კავშირში ჩასწერა, ცოლი სამკითხილოს გამგეთ დანიშნა, მერე სკოლაში აგრონომისტის წართმეული გაკვეთილები მსჯე, (სხვათა შორის, ჭალი დიდი ღვთის მოწმუნე ადამიანა, თითონ მოწადეებმა უფორეს, რომ ეკლესიაში წუთში 25-ჯერ იწერდა პირჯვარს. თითონაც ვაკვეთილები მოიმატა, მოწადეების მიღების დროს კლასობრივ მიდგომას განზე უდგება და სხვა(ც ბევრი).

ასწიეს, ბატონო, და უჩივლეს კოტეხს, მაგრამ საქმის გამომკვეთ კომისიაში მისი მეგობარი კოწია აღმოჩნდა (სამტრედიის 7 წლიდის გამგეა) და გამართლეს.

ახლა კიდევ უჩივლეს მაგრამ... ასწია ამ ჩვენმა კოტეხს და... ჯერ ქე ცხოვრობს ვაჩარანათ... ჩაიშალა.

სოფ. გორდის ფოსტა



— იას ელოდები აქ?
— ვერა ხედავ, ახალი მთვარე გამოჩნდა... ალბად გამზე წერილებს და-არიებებს!

(სუსსა-ლანგხუთიქუმი)

სალამი და კარგად მოეწყობე ქექს ძმას ტინოსს.

ბიჭო, შენ მართლა იგი ტინო მასხულაა ხარ, აქ სუფსაში საკრედიტო ამხანაგობაში რომ მუშაობდი? ესლა კი მივხედი, თუ როგორ უდნაშულლოთ გადაადებენ კაცს თურმე.

გახსოვს, ტინო ძამიკო, — აპარატის გამწმენდ კომისიამ რომ გამოგავლო სამსახურიდან? სულ რაღაც 229 მანეთას და 45 კაპეიკის გაიმსქნება გქონდათ ბრალათ. კავშირის ფულ(კ იყო, — მარა ნუ გეშინია, აბა კაც, ხე ხომ არ რის, რომ ერთ ადგილზე იყოს და ჭამა-ამა არ უნდოდეს!

სამსახურში უკვე მოწყობლობარ ლანჩუთის რაიონის ბუჰხალტერ-ინსტრუქტორად, ყოჩაღ, ტინო, ყოჩაღ! ასე ყოველთვის მოგხსნან სამსახურიდან მერე თუ დაგაწინაურებენ.

კაია ძამია, კაია. შეიძლება გამწმენდ კომისიმ მაქაც მოგახნოს, მარა შენ მაგის ნუ გეშინია, მერე კიდევ უკეთეს ადგილს იშოვნი. აბა, რას კვაჭი ხარ. ძმ...

შენი შანცი.

ბოლორი

არი-ს, (სტალინისი, ყოფ. ხაშური) — ადგილობრივ კაპოს შესახებ ეს ოთხი შემოიგვი სტრიქონიც კმარა:

კინოში ვერ შებედავ,

ბილეთი არის ძვირი.

ხედავ, რომ სალაროსთან

ჩამოუშვიათ ცხვირი.

ჩვენ გვიანტერესებს კინოს სხვა გაოეოვია.

თქვენ კინო-თეატრს „მინიონი“ ჰქვია. გექონდა ჩვენც ტფილისში ასეთი სახელოდების კინო და, როგორც იქნა (ერთი წელიც არ გასულა მას შეძღვე) სახკინმრეწვმა მას სახელი გამოუტყვალა. კარგს იზამდენ თქვენი კინოს მეყვეურნიც რომ მიბაძვდენ სახკინმრეწვს (მხოლოდ ამ ერთ საქმეში შეიძლება სახკინმრეწვის მიბაძვა).

შესაძლებელია, სიტყვა „მინიონი“ მათ კარგად არც კი იციან და ჰგონიანთ კარგი რამ. ჩვენ არც ამის ახსნა-განმარტებას დავიზარებთ:

მინიონი ნიშნავს: 1. სტამბის ერთგვარ წვრილ შრიფტს, 2. საფრანგეთის მეფეების საყვარლების სახელოდებს, 3. ერთგვარი ხარისხის შოკოლადს.

ამ სამში პირველ განმარტებას, ცხადია, თქვენ კინო-„მინიონთან არაფერი აქვს საერთო. რჩება „მეფის საყვარლები“ და „შოკოლადი“; ამ ორში ერთია რომელიმე, უფრო პირველი.

გარდა ამისა ორიოდ სიტყვა „ხაშური“-ს შესახებაც:

„ხაშური“ არის — მლაშე წყლის მარილი, გინა რაც წყლისა და ტბისაგან მარილის მსგავსი რამ გამოვა: შაბი, ბაჭრუკი, გვარჯილა და მისთანანი, მათს ნიშანს იწოდების (საბა-სელოხან ორბელიანის ლექსიკონი, გვ. 453).

მლაშე წყალი მგონი არასოდეს ყოფილა ხაშური? ალბად ასევე „ისტორიულად“ დაერქვა „მინიონი“ თქვენს კინოს. თუ ქალაქმა გამოიცვალა ძველი სახელი და მიიღო ახალი, შესაფერისი და თანადროული, რა ძნელი გახდა კინო-თეატრისათვის სახელის გამოწახვა!

ძილ-დამფრთხილას (ბათუმი) თქვენი წერილიდან კარგად ვერ გავიგეთ, თუ ვის ექომაგებთ ამ შიშისა და ში-ცოლსა თუ ქმარს?:

ვარდენ ძიძიშვილს არ ჰყავ!

ამ ჩვენს ბათუმში ტოლი.

მან დღეში სამჯერ უნდა

გალახოს თვისი ცოლი.

ჩვენც გეთანხმებით, რომ მილიცია „მოსაცხები“, რადგან ის 'ასტიკ ნეიტრალობას იცავს ამ შემთხვევაში.

გობის (საბურთალო), კლუბი გაქურდეს, როცა დარაჯ შალიკოს ტკბილად ეძინათ... კაცი გადარჩენილა მოპარვისაგან და თქვენ კიდევ უსაყვედურებთ?!

დ. ძემდელმელს (ობჩა). თვითონ თქვენ გასაჯიო და შეაფასეთ ეს სტრიქონები:

პირველ კოზბულქანს განაგებს:

მიხაა ძველი „გმირია“

გლენობას ისე უყვირს,

ყველას დაუსხა რეტია.

ეს არ არის ლექსი.

არც ის არის კარგი, რომ წერილის ბოლოში გვეყუქრებით: „თუ არ დამიბეჭდეთ ეს წერილი, შემდეგ „შოლტში“ გადაგვარდებით“.

— გზა მშვიდობისა, — გილოცავთ გზას.

შრ. სიპიტარს (ოზურგეთი): გვეწოთ, რომ:

ღვეარსი დაგვისნეულდა,

დაგვიდგა ცუდი მომენტი.

მაგრამ მის ადგილს დაიჭერს

ორავველიძე დომენტი.

ამაზე პასუხს რუსთაველი იძლევა:

მისივე მეტობს ყოველსა

სული და ტურფა ფერობა.

მთვარესა მცხრალსა ვარსკვლავმა

ვითამცა ჰკადრა მტრობა?



— ობლიგაცია გაყიდა!